საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ლევან მიქაბერიძე

ბიულეტენი

კენჭისყრა - 20.12.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ამირან ძაბუნიძის კანდიდატურა?
დიახ არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის, კანდიდატის - ამირან ძაბუნიძის, წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N1/207 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი, რომლის ფარგლებშიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 21 დეკემბრის N1/237 განკარგულების საფუძველზე სხვა კანდიდატებთან ერთად დარეგისტრირდა ამირან ძაბუნიძე.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით კანდიდატთა, მათ შორის, ამირან ძაბუნიძის, შესახებ მოძიებულ იქნა ინფორმაცია. გარდა ამისა, ამავე კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტების შესაბამისად ჩატარდა კონკურსში მონაწილე კანდიდატების საჯარო მოსმენა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსში რეგისტრირებულ კანდიდატთა, მათ შორის, ამირან ძაბუნიძის სრულფასოვანი შეფასების მიზნით საფუძვლიანად შევისწავლე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფის მიერ კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, ამირან ძაბუნიძის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ნაშრომები, აგრეთვე, გავითვალისწინე კანდიდატის მიერ საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი კომპეტენცია, პროფესიული უნარ-ჩვევები და პიროვნული თვისებები.

ზემოაღნიშნული ინფორმაციისა და მონაცემების საფუძვლიანი ანალიზისა და შეჯერების შედეგად „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით შევაფასე ამირან ძაბუნიძის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა.

იმის გათვალისწინებით, რომ ამირან ძაბუნიძე წარმოადგენს მოქმედ მოსამართლეს, მისი კეთილსინდისიერების კრიტერიუმთან შესაბამისობა შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლით გათვალისწინებულ თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კანდიდატის მიერ გამოვლენილი თვისებების,

კომპეტენციის, პიროვნული და საქმიანი რეპუტაციის გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ ამირან ძაბუნიძე სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის კომპეტენტურობის კრიტერიუმთან შესაბამისობა შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 36³ მუხლით დადგენილი მახასიათებლების გათვალისწინებით, კერძოდ, *სამართლის ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა.* ამირან ძაბუნიძის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ნაშრომების შესწავლის, მოძიებული ინფორმაციის ანალიზისა და საჯარო მოსმენის პროცესში მის მიერ გამოვლენილი ცოდნის, პიროვნული და პროფესიული თვისებების გათვალისწინებით, კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ კომპონენტში ქულათა მინიჭების შედეგად, ამირან ძაბუნიძის შეფასებამ შეადგინა 92 ქულა, რაც ორგანული კანონით გათვალისწინებულ ქულათა საერთო რაოდენობის 92%-ს შეადგენს.

ამდენად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად 2021 წლის 20 დეკემბერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე მხარი დავუჭირე ამირან ძაბუნიძის წარდგენას საქართველოს პარლამენტის წინაშე, ვინაიდან, მიმაჩნია, რომ მას გააჩნია სათანადო პროფესიული გამოცდილება, მოსამართლის მაღალი წოდებისთვის შესაფერისი ქცევა, პიროვნული და საქმიანი რეპუტაცია, კომპეტენცია და ა.შ.. შესაბამისად, ის სათანადო პასუხისმგებლობით შეასრულებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილებას.

ლევან მიქაბერიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

20 დეკემბერი 2021 წელი